საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

ზამთრის სკოლა სტუდენტებისთვის
გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გერმანული ფონდის Ḍ□□□□ მსოფლიოსათვის □ □□□□ for the World - BfdW) მხარდაჭერით, აცხადებს ზამთრის სკოლას სტუდენტებისთვის **„გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები“.**

დარგის ექსპერტები სკოლის ფარგლებში განიხილავენ გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს, მათ შორის, **საკონსტიტუციო სამართალწარმოება გარემოს დაცვით საკითხებზე; გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა; ევროკავშირის წინაშე არსებული გარემოსდაცვითი ვალდებულებები; საერთაშორისო სამართალწარმოება და საერთაშორისო მექანიზმები გარემოს დაცვით საკითხებზე.**

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

ზამთრის სკოლაში მონაწილეობა შეუძლიათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის მე-2, მე-3 და მე-4 კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებს. სკოლაში მონაწილეობის მისაღებად წახალისებულნი არიან რეგიონული უნივერსიტეტების სტუდენტები.

დაინტერესებულმა პირებმა **2024 წლის 21 იანვრის ჩათვლით** უნდა შეავსონ ~~ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა,~~ ასევე, დამატებით, განმცხადებლის CV (რეზიუმე) უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე mabuladze@gyla.ge. მეილის სათაურში უნდა მიეთითოს „ზამთრის სკოლა“.

კონკურსის ეტაპები და გამარჯვებულთა გამოვლენა:

მონაწილეთა შერჩევა მოხდება ზამთრის სკოლის შესარჩევი კომისიის მიერ.

პირველი ეტაპი: წარმოდგენილი განაცხადის ფორმალური შესაბამისობის შემოწება კონკურსის მოთხოვნებთან; განაცხადთა შინაარსობრივი შეფასება და გადარჩევა; (შეფასების კრიტერიუმებია: ზამთრის სკოლის მიზნებთან და თემატიკასთან კონკურსანტის კვალიფიკაციის, ინტერესების და მოტივაციის თავსებადობა);

მეორე ეტაპი: გასაუბრება და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა.

კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ მონაწილეებს შესაძლოა მოეთხოვოთ CV-ში მითითებული გამოცდილების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენა.

ზამთრის სკოლა ჩატარდება 2024 წლის 12-16 თებერვალს. სკოლის ფარგლებში სრულად იქნება დაფარული ზამთრის სკოლის ხარჯები. კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეების ტრანსპორტირება, სასტუმროში განთავსება და კვება.

კითხვების არსებობის შემთხვევაში მოგვწერეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: mabuladze@gyla.ge